



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL SHOTA MESKHIA ZUGDIDI STATE UNIVERSITY



2100 ზუგდიდი, საქართველო, ბ. ჯანაშიას ქ. 14
14 B. Janashia str. 2100 Zugdidi, Georgia
zssuedu@gmail.com
www.zssu.ge
+995 591324242

11/02/2025



MES 4 25 0000135300

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ქოჩიშვილს

ბატონო გიორგი,

ჩვენი 2025 წლის 04.02 წერილზე (შიდა ნომრით #107224) დამატებით წარმოგიდგენთ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტორულ და წლიურ ანგარიშებს, სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს განსაზღვრული ფორმითა და შინაარსით.
გთხოვთ, გაითვალისწინოთ

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ხუფენია თეონა

თ. ხუფენია





საქართველოს იურიდიული აკადემია
 შოთა მესხიას უკავშირდის სახელმწიფო სსსკავლო უნივერსიტეტი
 LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
 SHOTA MESKHIA STATE TEACHING UNIVERSITY OF ZUGDIDI



აკადემიური საბჭო

დადგენილება № 59

16 სექტემბერი, 2024 წ.

ქ. ზუგდიდი

აკადემიური საბჭოს 2024 წლის 18 მარტის №12 დადგენილებით დამტკიცებულ შიდა აუდიტის 2024-2026 წლის სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანისა და წარმოდგენილი სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 სექტემბრის №26 სხდომის ოქმის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს შიდა აუდიტის 2024-2026 წლის სტრატეგიული გეგმა ცვლილებებით. (დანართი 1).
2. დაევალოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს (ჯ.ბერაძეს), იხელმძღვანელოს დამტკიცებული გეგმით.
3. დაევალოს ნ.ფიფიას, გადასცეს დადგენილება დაინტერესებულ პირებს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში თბილისი, უზნაძის ქ. №52

თ. ხუციანთაძე

თეონა ხუციანთაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსსი დეკანოზი ნოზია: კ-ბი

სტრატეგიული გეგმა 2024-2026					
№	2024	2024	2025	2026	
1		*			
2	ზელფასების დარიცხვისა და გაცემის აუდიტი	*			
3	მატერიალური მარაგების მოძრაობის აუდიტი	*			
4	შესყიდვების სამსახურის აუდიტი	*			
5	პროგრამებით მოღვაწეობის აუდიტი	*			
№	2025	2024	2025	2026	
1	პროფესიული სწავლების მიზნით შექმნილი მასალების მოძრაობის აუდიტი		*		
2	IT სამსახურის აუდიტი		*		
3	ვაჭრობის ეკონომიის ხარჯის აუდიტი		*		
4	LMS - ელექტრონული სასწავლო პროგრამის მომსახურების აუდიტი		*		
№	2026	2024	2025	2026	
1	ინვენტარიზაციის მასალების აუდიტი		*		
2	ახალგაზრდულ საქმეთა და სწავლადობისათვის ურთიერთობის სამსახური		*		



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL SHOTA MESKHIA ZUGDIDI STATE UNIVERSITY

2100 ზუგდიდი, საქართველო, ბ. ჯანაშიას ქ. 14
14 B. Janashia str. 2100 Zugdidi, Georgia
zssuedu@gmail.com
www.zssu.ge
+995 591324242

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 11

03 თებერვალი 2025 წ.

ქ. ზუგდიდი

უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წელს განხორციელებული შიდა აუდიტორული ანგარიშებისა და წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 03 თებერვლის №03 სხდომის ოქმის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წელს განხორციელებული შიდა აუდიტორული ანგარიშები და წლიური ანგარიშის წარმოდგენილი სახით (დანართი 1,2).
2. დაევალოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს (ჯ.ბერაძეს), უსრუენველდოს 1-ლი პუნქტით დამტკიცებული ანგარიშების განსაზღვრული ფორმითა და შინაარსით სამინისტროში წარდგენა.
3. დაევალოს ნ.ფიფიას, გადასცეს დადგენილება დაინტერესებულ პირებს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში თბილისი, უზნაძის ქ. №52

თეონა ხუფენია

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

თ. ხუფენია

ასლი

ფეხანთა

საბჭოს



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წლის შიდა აუდიტის სამსახურის

წლიური ანგარიში

უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახური წარმართავს საქმიანობას 2024-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შიდა აუდიტთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2024-2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობისა და მოქმედების სფეროს განსაზღვრას სამი წლის პერიოდით. დასახელებული სტრატეგიული გეგმა შექმნილია აუდიტის სამყაროს საფუძველზე, სადაც ხორციელდება რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება, მოიცავს უნივერსიტეტში არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს, პროცესებს, პროგრამებს, ფუნქციებს, რომლებიც შიდა აუდიტის სამსახურის თვალსაზრისით არსებითად ექვემდებარება გარკვეულ რისკებს ან წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან ფაქტორებს უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში.

შიდა აუდიტის 2024-2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიასთან და ასახავს საერთო საქმიანობას რისკების ანალიზის კონტექსტში.

შიდა აუდიტის მიერ უნივერსიტეტის წინაშე არსებული ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე დადგინდა ძირითადი რისკები, რომელთა იდენტიფიცირებისათვის და შეფასებისათვის შემუშავდა ინდიკატორები და შეფასება ქულებით. ასევე, თითოეული ინდიკატორისთვის, პრიორიტეტების გამოყოფის მიზნით, დადგინდა არსებობის წონა პროცენტებში. მიღებული ქულები გამრავლებულ იქნა წინასწარ განსაზღვრულ არსებობის წონაზე და დაჯამდა ყველა ინდიკატორის მიხედვით.

შიდა აუდიტის საქმიანობის დაგეგმვასთან მიმართებაში (სტრატეგიული და წლიური დაგეგმარება), რისკის შეფასება ხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ჩვენ მიერ გადაისინჯა შიდა აუდიტის სამყარო და ხელახლა შეფასდა რისკები, უნივერსიტეტში მიმდინარე სტრუქტურული, ფუნქციური, სტრატეგიული და სხვა მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით. შედეგები აისახა სტრატეგიულ გეგმაში და შესაბამისად გადამტვიცდა 2024-2026 წლის სტრატეგიული გეგმა ცვლილებებით აკადემიურ საბჭოზე.

შესაბამისად, მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში შერჩეულ იქნა ობიექტები რისკების იდენტიფიცირების გზით:

- ✓ შესაბამისი კითხვარების მომზადებით და შევსებით;
- ✓ მენეჯერებთან სამუშაო შეხვედრის საშუალებით;
- ✓ თანამშრომელთა ინტერვიუების მეშვეობით;
- ✓ ადგილზე ობიექტებისა და პროცესების შესწავლით;
- ✓ წინა წლების გამოცდილებით;
- ✓ უკვე განხორციელებული კონტროლის შედეგების გათვალისწინებით.

2024 წლის შიდა აუდიტის განხორციელების დროს მთავარი მიზანი იყო აუდიტის ობიექტების შემოწმების პროცესში დაედგინა საჯარო ფინანსების მიზნობრივი ხარჯვა, რესურსების გამოყენება ეფექტურად, პროდუქტიულად და ეკონომიურად; ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სიზუსტე და სანდოობა, პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, ქონების მოვლა-პატრონობისა და უსაფრთხოების დაცვა სათანადოდ.

2024-2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმის მოსამზადებლად განხორციელებული რისკის შეფასებისათვის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შიდა აუდიტის სამყაროში, სასწავლო უნივერსიტეტის მთავარი ფუნქციებიდან გამომდინარე, შეირჩა შემდეგი სტრუქტურული ერთეული და მიმდინარე პროგრამა:

არაგეგმიური:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა.
2. სტუდენტთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების აუდიტორული შემოწმება
3. პერსონალის ელექტრონული აღრიცხვის სისტემის აუდიტი
გეგმით გათვალისწინებული:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;
2. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ხარჯებისა და ხელფასების დარიცხვა - გაცემის შესაბამისობის აუდიტი;
3. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;
4. ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების აუდიტი;

განისაზღვრა: შესაბამისობის აუდიტის საფუძველი, აუდიტორთა ჯგუფის შემადგენლობა შიდა აუდიტის ობიექტები, აუდიტის ჩატარების პერიოდი, აუდიტის შესამოწმებელი პერიოდი, აუდიტის სახე - შესაბამისობის აუდიტი, აუდიტის მეთოდი - გასვლითი, შერჩევითი. აუდიტის მასშტაბი, შესაბამისობის აუდიტის მიზანი

აუდიტორული შემოწმების სიხშირე და ხანგრძლივობა განისაზღვრა რისკის შეფასების საფუძველზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით.

სტრატეგიის შესაბამისად, სამწლიანი ციკლის განმავლობაში, განისაზღვრა აუდიტორისთვის სამუშაო დღეები. გამოიყო სტანდარტული დრო.

აუდიტორის სამუშაო დღეების გამოანგარიშებისას მხედველობაში მივიღეთ რეკომენდაციების შესრულების შემდგომი ნაბიჯები, განხილვა, კონსულტაცია, ადმინისტრაციული საქმიანობები და ა.შ. ასევე, გათვალისწინებულია შევბულებისა და სავარაუდო ავადმყოფობის დღეები, ტრენინგები, არაგეგმიური დავალებები და მონიტორინგი.

სამუშაო დღეები ნებისმიერ მოცემულ წელს დაახლოებით შეადგენს - 250 სამუშაო დღეს. ამ რიცხვს აკლდება ზემოთ აღნიშნული გარემოებები და აუდიტის განხორციელებისთვის რჩება 160 დღე.

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების ადეკვატურობის, ეფექტიანობისა და დროულობის შესაფასებლად შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში გათვალისწინებული გვაქვს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ჩვენ მიერ განისაზღვრა/შერჩეულ იქნა აუდიტის ობიექტების შემდეგი რისკფაქტორები:

- **ფინანსური გავლენა/ხარჯვის დონე** - აუდიტის შერჩეული ობიექტების ეფექტური და სწორი მუშაობა ზემოქმედებს სრულად ინსტრუქციის გამართულ საქმიანობაზე, ვინაიდან ამ ობიექტების მიერ განხორციელებული სწორად მართული ფინანსური რესურსები პირდაპირ გავლენას ახდენს საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესებზე
- **შიდა კონტროლის ხარისხი** - უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, ადმინისტრაციის მთავარი ხედვაა მართვის ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება, მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნესუწყვეტობის სქემის გამლიერება, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშების საფუძველზე საქმიანობის გაუმჯობესებისთვის ზრუნვა, ხარისხის მექანიზმებით-

დემინგის ციკლით საქმიანობის გაუმჯობესება დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - განავითარე.

- **საჯარო ინტერესი/საქმიანობის მნიშვნელობა** - ერთეულები შეირჩა იმ გარემოებით, რომ ობიექტის მომსახურების არეალი არის დიდი (მაღალია ჩართულობა საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნების მისაღწევად) და პირდაპირ ზემოქმედებს უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგებზე (შესყიდვები/მატერიალური/საფინანსო სამსახურები).
- **განცდა - ხელმძღვანელის ექვი** - მენეჯმენტის მიერ აუდიტის სამყაროს ერთეულებად მიმდინარე წელს განისაზღვრა ობიექტები უნივერსიტეტის სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად, კერძოდ, მართვისა და კონტროლის ეფექტიანობის და ეფექტურობის გასაძლიერებლად.
- **წინა აუდიტის/განხილვის დრო და შედეგები** - ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება აუდიტის რეკომენდაციების შესრულების ინსპექტირება, საჭიროების შემთხვევაში წინა აუდიტიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ შესაძლებელია დაიგეგმოს შერჩევითი პინციპით განმეორებითი აუდიტი. აუდიტის რეკომენდაციების შესრულების შედეგები აძლიერებს ინსტიტუციას
- **სისტემების ტიპები და კომპლექსურობა** - უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებით - რაც თავის მხრივ მრავალმხრივ და მრავალფეროვან პროცესებს ითვალისწინებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს სირთულეს - სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა და პროცესების ნაირსახეობა და სირთულე: შესაბამისად, ობიექტად შერჩეულ იქნა როგორც სტრუქტურული ერთეული, ისე საგანმანათლებლო პროგრამა.

შიდა აუდიტის მიერ გაიცა რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.

რეკომენდაცია :

1. აყვანილ იქნეს კონტროლზე უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.
2. მოწვეულ იქნეს კვალიფიციური სპეციალისტი (შემფასებელი აუდიტი) ავტომობილი (NISSAN TERANO სახელმწიფო ნომრით AGA 826, გამოშვებული 2003 წელს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 2009 წლიდან) საბაზრო ღირებულების დასადგენად და ჩამოწერის მიზნით მომზადდეს დოკუმენტაცია შემდგომი მსვლელობისთვის კანონმდებლობის შესაბამისად.

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის შესაბამისობის აუდიტი.

რეკომენდაცია :

1. საგეგმო მაჩვენებლებთან ფაქტობრივი შესრულების შეუსაბამობის შემთხვევაში განხორციელდეს შესყიდვების წლიურ გეგმაში შესაბამისი ცვლილება, რომელიც სათანადოდ იქნება დასაბუთებული.
2. შესყიდვების სამსახურის მუშაობის გაუმჯობესობის მიზნით მიზანშეწონილია, ისეთ შემთხვევებშიც, როცა კონკრეტული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ნაკლებია 10 000 ლარზე, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - 20 000 ლარზე, განხორციელდეს ბაზრის კვლევა და ასევე შესყიდვების განხორციელებისას საჭიროა ბაზრის კვლევის დოკუმენტები აიტვირთოს შესყიდვების სააგენტოს შესაბამის ელექტრონულ ველზე.

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ხარჯებისა და ხელფასების დარიცხვა - გაცემის შესაბამისობის აუდიტი;

რეკომენდაცია :

1. ბუღალტერმა აიყვანოს კონტროლზე და უზრუნველყოს თანამშრომლებზე ხელფასების დარიცხვის შესაბამისად, იმავე თვეში საშემოსავლო გადასახადის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშებზე კანონის შესაბამისად.

- სტუდენტთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების აუდიტორული შემოწმება

რეკომენდაცია :

1. შემდგომი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის ყველა რეკომენდაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;

რეკომენდაცია:

1. აყვანილ იქნეს კონტროლზე სამსახურის მიერ პასუხისმგებლობების გადაწვევების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულებების რეგულაციისა და სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.
2. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მარაგების, ამორტიზებული, ექსპლუატაციისათვის უვარგისი ჩამოსაწერი ქონების დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი სამსახურებისათვის დასკვნებისთვის წარდგენა.
3. იდენტიფიცირებული რისკების გათვალისწინებით, კონტროლის მართვის გაძლიერების მიზნით ადმინისტრაციის მხრიდან დაორგანიზებული მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესის - მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე გადაყვანა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება -. გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ეტაპზე აუდიტი შემოიფარგლოს წარმოდგენილი რეკომენდაციებით და მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე სრულად გადაყვანის შემდეგ ჩაიგეგმოს რიგგარეშე განმეორებით სრული ინვენტარიზაციის შიდა აუდიტი.

- პერსონალის ელექტრონული აღრიცხვის სისტემის აუდიტი

რეკომენდაცია:

1. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესყიდულ იქნეს განახლებული ელექტრონული აღრიცხვის პროგრამა.
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პერსონალის აღრიცხვა და ანგარიშგება მართოს იურიდიული საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის კონტროლით ადამიანური რესურსების განყოფილებამ .

შიდა აუდიტის მიერ ასევე ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა აუდიტის ობიექტებთან, საჯაროდ იქნა განხილული მოპოვებული ინფორმაცია (არ შეიცავდა კონფიდენციალურ თემებს), გაზიარებულ იქნა არსებული გამოცდილება.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (13.07.2022 N800685) ბრძანების საფუძველზე სამინისტროს სისტემის ფარგლებში არსებული რესურსების ოპტიმალური და ეფექტური განაწილების მიზნით, შიდა აუდიტის სუბიექტებს განგვესაზღვრა შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების, წლიური და შიდა აუდიტორული ანგარიშების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში წარდგენის ვალდებულება.

ჩვენ მიერ 2024 წლის აუდიტი განხორციელდა შიდა აუდიტის გეგმისა და სტრატეგიის შესაბამისად, შესწავლილ იქნა წინასწარ შერჩეული 4 და არაგეგმიურად განსაზღვრული სამი ობიექტი. ჩატარდა შესაბამისობის აუდიტი:

არაგეგმიური:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა.
2. სტუდენტთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების აუდიტორული შემოწმება
3. პერსონალის ელექტრონული აღრიცხვის სისტემის აუდიტი

გეგმით გათვალისწინებული:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;
2. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ხარჯებისა და ხელფასების დარიცხვა - გაცემის შესაბამისობის აუდიტი;
3. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;
4. ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების აუდიტი;

განისაზღვრა: შესაბამისობის აუდიტის საფუძველი, აუდიტორთა ჯგუფის შემადგენლობა შიდა აუდიტის ობიექტები, აუდიტის ჩატარების პერიოდი, აუდიტის შესამოწმებელი პერიოდი, აუდიტის სახე - შესაბამისობის აუდიტი, აუდიტის მეთოდი - გასვლითი, შერჩევითი. აუდიტის მასშტაბი, შესაბამისობის აუდიტის მიზანი

გეგმით გათვალისწინებული:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;
შესამოწმებელი პერიოდი 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბერი.
აუდიტის ჩატარების პერიოდი 1.10.2024 - 30.11.2024

2. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ხარჯებისა და ხელფასების დარიცხვა - გაცემის შესაბამისობის აუდიტი;
შესამოწმებელი პერიოდი 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 ივნისამდე
აუდიტის ჩატარების პერიოდი 05.06.2024 - 15.07.2024

3. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;
შესამოწმებელი პერიოდი 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბერი
აუდიტის ჩატარების პერიოდი 10.04.2024 - 20.05.2024

4. ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების აუდიტი;

შესამოწმებელი პერიოდი 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 29 დეკემბერი
აუდიტის ჩატარების პერიოდი 04.01.2024 - 17.02.2024

არაგეგმიური:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა.

აუდიტის ჩატარების პერიოდი 1.03.2024 - 30.03.2024

2. პერსონალის ელექტრონული აღრიცხვის სისტემის აუდიტი

აუდიტის ჩატარების პერიოდი 1.08.2024 - 30.08.2024

3. სტუდენტთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების აუდიტორული შემოწმება

აუდიტის ჩატარების პერიოდი 01.12.2024 - 30.12.2024

სტრატეგიული გეგმა შემუშავდა უნივერსიტეტის მიზნების, სტრუქტურის ძირითადი პრინციპების და რისკების საფუძველზე, სტრატეგიული გეგმის მომზადებისას ჩვენ მიერ მოხდა:

აუდიტის სამყაროს განსაზღვრა;

რისკ ფაქტორების განსაზღვრა;

განსაზღვრული რისკ ფაქტორებით აუდიტის სამყაროს შეფასება;

შეფასების საფუძველზე ობიექტის რისკის ჯამური ქულის მიხედვით რანგირება.

შიდა აუდიტის მიერ სტრატეგიული გეგმისათვის ეფექტიანად წარმართვისათვის გავატარეთ შემდეგი ღონისძიებები, შვისწავლეთ:

უნივერსიტეტის სტრატეგია მიზნები და მათი შესრულების ინდიკატორები;
უნივერსიტეტის რისკების რეესტრი;
უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები;
უნივერსიტეტის წესდება;
უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტები
წესები და პროცედურები;
ბიუჯეტი.

რისკ ფაქტორების განსაზღვრა მოხდა აუდიტის სუბიექტის შეხედულებისამებრ, ჩვენ
მიერ გეგმის შედგენისას წინასწარ მოხდა კვლევა და შემდეგი დოკუმენტაციის
შესწავლა, მათ შორის:

სამართლებრივი აქტები;
რეგულაციები და ბრძანებები;
ორგანიზაციული სტრუქტურა;
სამუშაო აღწერილობები და დელეგირების ინსტრუმენტები;
საოპერაციო და ფინანსური მონაცემები და ანგარიშები;

რისკის მართვა წარმოადგენს შესაძლო მოვლენების იდენტიფიკაციის, შეფასების,
კონტროლისა და მონიტორინგის პროცესს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს
უნივერსიტეტის საჭირო მიზნების მიღწევაზე და საქმიანობის განხორციელებას
რისკის მისაღებ დონემდე შესამცირებლად.

შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ჯგუფმა შეისწავლოს, გააანალიზოს და
შეაფასოს აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა რამდენად
შესაბამისობაშია:

- ✓ კანონმდებლობასთან;
- ✓ მარეგულირებელ აქტებთან;
- ✓ შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან.

შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების
მიზანია, სამსახურმა შიდა კონტროლის სისტემების დანერგვითა და გაძლიერებით
უზრუნველყოს შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება რისკების მართვისათვის, რათა ხელი
შეუწყოს სამსახურის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებას.

1. **შემოწმების საგანი/ობიექტი:** სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო საწავლო
უნივერსიტეტის შიდა აუდიტის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო
საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.

აღწერა:

უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.

უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანა NISSAN TERANO სახელმწიფო ნომრით AGA 826, გამოშვებული 2003 წელს უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება 2009 წლიდან საწყისი საბალანსო ღირებულებით თანხით 11134,0 ლარი, დღევანდელი დღის მდგომარეობით მას საბალანსო ღირებულება არ გააჩნია. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება გაუმართავ მდგომარეობაშია 2016 წლიდან, დაზიანებული აქვს ძრავი, რომლის შეკეთება შეუძლებელია, ასევე მისი მთლიანად შეცვლა ვერ მოხერხდა, რადგან ძრავი არის დიზელის საწვავზე და არის დეფიციტური. აღნიშნულ ავტომობილს დაზიანებული აქვს სავალი ნაწილი, რისი შეკეთებაც ვერ ხერხდება ავტომობილის სიძველის გამო და ნაწილების დეფიციტურობიდან გამომდინარე. ავტომობილის ძარა არის კოროზირებული, საქარე და გვერდითა მინები დაზიანებულია.

დასკვნა: ავტომობილის შეკეთება ვერ ხერხდება და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩამოწერის მიზნით: 1. მომზადდეს დოკუმენტაცია შემდგომი მსველობისთვის კანონმდებლობის შესაბამისად. 2. მოწვეულ იქნეს ამ ეტაპისათვის კვალიფიციური სპეციალისტი (შემფასებელი აუდიტი) ავტომობილის საბაზრო ღირებულების დასადგენად.

აღწერა:

უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანა MERSEDES C240 სახელმწიფო ნომრით VU 645 UU, გამოშვებული 2000 წელს უნივერსიტეტის მიერ შეძენილ იქნა 2009 წელს საბიუჯეტო სახსრებით 24 600 ლარად. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება თითქმის მთლიანად ამორტიზირებულია, მისი შეკეთება ხდება პერიოდულად საკმაოდ ხშირად, დღევანდელი დღის მდგომარეობით მისი საბალანსო ღირებულება შეადგენს 1110,71 ლარს. ამ ავტომობილის მოვლა შენახვა უნივერსიტეტს ძვირი უჯდება მისი ხშირად დაზიანების გამო. ასევე საწვავის ნორმირებულზე მეტად წვის გამო.

დასკვნა: აუდიტს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ჩანაცვლება ახალი ავტომობილით.

აღწერა:

უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანა მცირე ტევადობის ავტობუსი DODGE SPRINTER 3500 გამოშვებული 2005 წელს შეძენილ იქნა 2017 წელს ბიუჯეტის სახსრებით თანხით 45000 ლარი. დღევანდელი დღის მდგომარეობით მისი საბალანსო ღირებულება შეადგენს 1735,71 ლარს.

რეკომენდაცია:

1. აყვანილ იქნეს კონტროლზე უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.
2. მოწვეულ იქნეს კვალიფიციური სპეციალისტი (შემფასებელი აუდიტი) ავტომობილის (NISSAN TERANO სახელმწიფო ნომრით AGA 826, გამოშვებული 2003 წელს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 2009 წლიდან) საბაზრო ღირებულების დასადგენად და ჩამოწერის მიზნით მომზადდეს დოკუმენტაცია შემდგომი მსველობისთვის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. შემოწმების საგანი:

2. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში მიმდინარე უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ/ეფექტიან განხორციელებას.

ჩვენ მიერ დაისვა შეკითხვები:

2.1 როგორ ხდება წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - შესყიდვის საშუალების შერჩევა და შერჩეული საშუალების შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შედგენა (წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად), შესყიდვის პროცედურების მომზადება, სატენდერო კომისიის აპარატის საქმიანობაში მონაწილეობა და სატენდერო პროცედურების ტექნიკურად უზრუნველყოფა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-გაცემა და აღრიცხვა?

შეფასება:

სამსახური ხელმძღვანელობდა შესყიდვების განხორციელების დროს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ (დაფინანსების წყაროების: „საკუთარი შემოსავლები“; „სახელმწიფო ბიუჯეტი“ დამტკიცებული წლიური გეგმებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“) საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებით, რაც სრულად შესაბამისობაშია მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.

შესყიდვების გეგმა, პროცედურების მომზადება, სატენდერო კომისიის აპარატის საქმიანობაში მონაწილეობა და სატენდერო პროცედურების ტექნიკურად უზრუნველყოფა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-გაცემა და აღრიცხვა სრულად შეესაბამება მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

მტკიცებულება:

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის წლიური გეგმა, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.

2.2 რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა შეყიდვების სამსახურის მიერ 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით? სულ რამდენი ხელშეკრულება გაფორმდა, მათ შორის ტენდერით, გამარტივებული წესით?

აღწერა:

2023 წელს სულ გაფორმდა 1 504 453 ლარის 120 ხელშეკრულება, მათ შორის 29 განხორციელდა ელექტრონული ტენდერით, ღირებულებით 1 000 266 ლარი, 91 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვით, თანხით 461978 ლარი, აღნიშნულიდან 12 შემთხვევაში არ განხორციელდა ბაზრის კვლევა.

მიგნება:

2023 წელს სულ გაფორმდა 1 504 453 ლარის ხელშეკრულებები, სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეადგენდა 2 334 427 ლარს. სხვაობამ გეგმასთან მიმართებით შეადგინა 826 974 ლარი,

რაც შედაგენს გეგმის 35.42%-ს. შესყიდვების წლიური გეგმა ითვალისწინებს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით საჭირო აქტივობებს, მათ შორის, უპირველესად, ორიენტირებულია პრიორიტეტულ მიმართულებებზე, ასევე ცალკეული ცვლილებები ითვალისწინებს სხვა მიმდინარე გამოკვეთილ შემხვედრ საჭიროებებს, შესყიდვები ხორციელდება უნივერსიტეტის შემოსავლების გათვალისწინებით, და სამსახური ორიენტირებულია შესყიდვების დაგეგმარების დროს დაიცვას გეგმისა და გეგმით გათვალისწინებული დავალებების შესრულების შესაბამისობა.

რაც შეეხება გამარტივებული წესით შესყიდვების ხელშეკრულებებს, გაფორმებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როცა სამსახურის მიერ ერთ პირთან ხელშეკრულება გაფორმებულია ბაზრის კვლევის გარეშე.

არგუმენტირებული პოზიცია

სამსახურის მიერ განიმარტა, რომ იცავს რეგულაციას, ცნობილია, რომ მიზანშეწონილია, განხორციელდეს ბაზრის კვლევა და ბაზრის კვლევის დოკუმენტები აიტვირთოს შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ველზე, თუმცა შესყიდვების სამსახურის მიერ გაწეული შესაბამისი ღონისძიებების მიუხედავად ბაზრის კვლევაში ამ ნაწილის არსებული ხარვეზები ძირითად გამოწვეულია მომწოდებლების მხრიდან ბაზრის კვლევაში არასაკმარისი ოპერატიული ჩართულობით - პასიურობით. რიგ შემთხვევებში ზუგდიდის მუნიციპალური ტერიტორიის მომწოდებელთა ბაზარზე არ იკვეთება საკმარისი კონკურენტული გარემო. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სპეციფიკიდან გამომდინარე და დროის სიმცირის გამო, სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, როგორც გადაუდებელი, შესყიდვა ხორციელდება ბაზრის კვლევის გარეშე, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ხარვეზად, რადგან შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია არ განახორციელოს ბაზრის კვლევა, თუ: კონკრეტული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ნაკლებია 10 000 ლარზე, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - 20 000 ლარზე;

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახური გაითვალისწინებს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს (განსაკუთრებული შემთხვევის-გადაუდებელი აუცილებლობის გარდა) ხელშეკრულებების გაფორმებას ბაზრის კვლევის გათვალისწინებით.

რეკომენდაცია:

1. საგეგმო მაჩვენებლებთან ფაქტობრივი შესრულების შეუსაბამობის შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება, რომელიც სათანადოდ იქნება დასაბუთებული.
2. შესყიდვების სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია, ისეთ შემთხვევებშიც, როცა კონკრეტული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ნაკლებია 10 000 ლარზე, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - 20 000 ლარზე, განხორციელდეს ბაზრის კვლევა და ასევე შესყიდვების განხორციელებისას საჭიროა ბაზრის კვლევის დოკუმენტები აიტვირთოს შესყიდვების სააგენტოს შესაბამის ელექტრონულ ველზე.

შემოწმების საგანი

3.1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელფასების დარიცხვისა და გაცემის შესაბამისობის აუდიტი.

3.2. სტუდენტთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების აუდიტორული შემოწმება

აუდიტის შესამოწმებელ პერიოდში პასუხისმგებელი პირები:

- მთავარი ბუღალტერი

გამოყენებული მეთოდოლოგია

შესაბამისობის აუდიტის პროცესში გამოყენებულ იქნა გამოკითხვის, ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, დადასტურების, ანალიზის და დოკუმენტირების მეთოდები.

აუდიტის შედეგები

აუდიტის პერიოდში მოხდა სამსახურის

- აუდიტის ობიექტის მენეჯმენტთან შეხვედრა;
- აუდიტის ობიექტის წარმომადგენლებთან და ჩართულ მხარეებთან ინტერვიუების ჩატარება;
- აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვება/ანალიზი;

3.1 აღწერა. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2024 წლის 6-თვეში ხელფასების სახით დარიცხულია და გაცემულია სულ: 2 351 466 ლარი. მათ შორის : შტატით მომუშავეებზე 1 061 947 ლარი, შტატგარეშე თანამშრომლებზე 1 289 519 ლარი.

მიგნება

იანვრის თვეში საშემოსავლო გადასახადი 200 ლარის ოდენობით არ არის დაკავებული ერთ თანამშრომელზე, არ არის განხორციელებული აღნიშნული თანხის დაკავება და შესაბამისად, გადარიცხვა მოხდა თებერვლის თვეში. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ტექნიკურ ხარვეზად, რადგან ამ ტიპის უზუსტობები არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, მხოლოდ ამ ერთი შემთხვევის გარდა არ დასტურდება სხვა შემთხვევა.

აღნიშნულ პერიოდში საპენსიო ფონდში გადარიცხულია თანხა დროულად და კანონით გათვალისწინებული ოდენობით სულ: 22315 ლარი, მათ შორის თვეების მიხედვით ასე

გადანაწილდა: იანვარი 3909 ლარი, თებერვალი 4290 ლარი, მარტი 4083 ლარი, აპრილი 4423 ლარი, მაისი 450 ლარი, ივნისი 4790 ლარი.

რეკომენდაცია: ბუღალტერმა აიყვანოს კონტროლზე და უზრუნველყოს თანამშრომლებზე ხელფასების დარიცხვის შესაბამისად, იმავე თვეში საშემოსავლო გადასახადის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშებზე კანონის შესაბამისად.

3.2 აღწერა:

აუდიტის საფუძველი იყო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცირკულარული წერილი, სადაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს - უნივერსიტეტებს მიეთითათ სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების შესრულება, რაც ეხებოდა ინსტიტუციებში ფინანსურ ანგარიშგებაში სტუდენტთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების გადაფარვით ასახვას და შესაბამისად საკითხის კონტროლზე აყვანას.

შესწავლილ იქნა უნივერსიტეტის სტუდენტთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების მაჩვენებლები და მათი შესაბამისობა 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. გამოიკვეთა, რომ საბუღალტრო პროგრამაში სტუდენტთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები სწორად არის ასახული, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში სტუდენტთა დებიტორული დავალიანება ასახულ იქნა გადაფარვით, აქვე აღვნიშნავთ, რომ სამსახურის მიერ ობიექტის შემოწმების პერიოდში წარმოდგენილ იქნა გატარებული დონისძიებები, კერძოდ: სამინისტროსთან განხორციელდა წერილობითი კომუნიკაცია, გაიგზავნა განმარტებითი წერილი აღნიშნული საკითხის 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გასწორებულად ასახვის შესახებ. მიეცა რეკომენდაცია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გასწორდეს რეტროსპექტულად.

რეკომენდაცია: შემდგომი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის ყველა რეკომენდაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. შიდა აუდიტის ობიექტი - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

აუდიტის სახე - შესაბამისობის აუდიტი;

აუდიტის მეთოდი - გასვლითი, შერჩევითი.

აუდიტის მასშტაბი:

1. დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება;
2. მიზნების შესაბამისობა;
3. ადგილზე წამოჭრილი სხვა საკითხები.

აუდიტის შესამოწმებელ პერიოდში პასუხისმგებელი პირები:

- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილების უფროსი

გამოყენებული მეთოდოლოგია

შესაბამისობის აუდიტის პროცესში გამოყენებულ იქნა გამოკითხვის, ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, დადასტურების, ანალიზის და დოკუმენტირების მეთოდები.

აუდიტის პერიოდში მოხდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის

- აუდიტის ობიექტის მენეჯმენტთან შეხვედრა;
- აუდიტის ობიექტის წარმომადგენლებთან და ჩართულ მხარეებთან ინტერვიუების ჩატარება;
- აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვება/ანალიზი;

აღწერა: შიდა აუდიტის პერიოდი დაემთხვა უნივერსიტეტში ინვენტარიზაციის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესს. უნივერსიტეტში მიმდინარეობს მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე გადაყვანა.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შერჩევითი წესით შემოწმებულ იქნა უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული მატერიალური მარაგები. აუდიტის პერიოდში შერჩევითი ინვენტარიზაციით ზუგდიდისა და სენაკის განყოფილებაში რაიმე სახის დანაკლისი ან მეტობა არ გამოვლენილა.

ასევე აუდიტის პერიოდში უნივერსიტეტის ქსელების ადმინისტრატორის ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ბალანსგარეშე ანგარიშზე აღრიცხულია ხმარებისათვის უვარგისი პრინტერები, რომელიც უნდა ჩამოიწეროს დადგენილი წესით, როგორც ხმარებისათვის უვარგისი.

ასევე შესწავლილ იქნა საწვავის ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების“ შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების სარეკომენდაციო ვადები, შესაბამისად, საწვავის ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს ყოველთვიურად.

მიგნება:

საწვავის ჩამოწერა მიმდინარეობს კვარტალურად.

განმარტება: მატერიალური სამსახურის მიერ მიღებულ იქნა შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის პროექტით დაფიქსირებული შენიშვნები..

რეკომენდაცია:

სამსახურის მიერ საწვავის ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს ყოველთვიურად.

ასევე შერჩევითი წესით შემოწმებულ იქნა სამსახურის მიერ პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების რეგულაციის ფარგლებში თანამშრომლობა შესაბამის სტრუქტურებთან. დოკუმენტბრუნვის დათვალიერებით გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული საქონლის/სასწავლო მასალების ჩამოწერა განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების გარეშე, თუმცა მონაწილეობდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილება.

რეკომენდაცია:

აყვანილ იქნეს კონტროლზე სამსახურის მიერ პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების რეგულაციისა და სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მარაგების, ამორტიზირებული, ექსპლუატაციისათვის უვარგისი ჩამოსაწერი ქონების დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი სამსაურებისათვის დასკვნებისთვის წარდგენა.

შიდა აუდიტორთა მოსაზრება

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში ჩატარდა შესაბამისობის აუდიტი, რის შედეგად შიდა აუდიტორთა ჯგუფმა დაადგინა რიგი გარემოება, რაც იძლევა დასაბუთებულ რწმუნებას იმის თაობაზე, რომ სამსახურში მიმდინარე პროცესები მოითხოვს დამატებით კონტროლის სისტემებს, რათა პროცესში არსებულმა რისკებმა ნეგატიური ზეგავლენა არ მოახდინოს სამსახურის საქმიანობის განხორციელების დროს.

რეკომენდაცია

იდენტიფიცირებული რისკების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა ადმინისტრაციის მხრიდან დაორგანიზებული მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესი, კონტროლის მართვის გამლიერების მიზნით მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე გადაყვანა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ეტაპზე აუდიტი შემოიფარგლოს წარმოდგენილი რეკომენდაციებით და მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე სრულად გადაყვანის შემდეგ ჩაიგეგმოს რიგგარეშე განმეორებით სრული ინვენტარიზაციის შიდა აუდიტი.

5.შემოწმების საგანი/ობიექტი -სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს (შემდგომში „თანხის გამცემი“) შორის 2023 წლის 22 აგვისტოს დადებული N 83/მ ხელშეკრულების აუდიტი

აუდიტის შესამოწმებელ პერიოდში პასუხისმგებელი პირები:

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი საორიენტაციო კურსის ხელმძღვანელი გამოყენებული მეთოდოლოგია

შესაბამისობის აუდიტის პროცესში გამოყენებულ იქნა გამოკითხვის, ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, დადსტურების, ანალიზის და დოკუმენტირების მეთოდები.

აღწერა:

შიდა აუდიტის მიზანია, გასული წლის აუდიტის ფარგლებში ანალოგიური ხელშეკრულების შემოწმების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციის გათვალისწინებით სამსახურის საქმიანობის წარმართვის აუდიტი.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს (შემდგომში „თანხის გამცემი“) შორის 2023 წლის 22 აგვისტოს დადებული N 83/მ ხელშეკრულების თანახმად თანხა სულ 107,115.00 ლარი გადაერიცხა ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, მათ შორის 2023 წლის 8 სექტემბერს საგადახდო დავალება N 2401 70 625,00 (სამოცდაათი ათას ექვსასოცდა ხუთი) ლარი და იმავე დღეს საგადახდო დავალება N 2402 36 490,00 (ოცდათექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაათი) ლარი. პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების განსახორციელებლად, აღნიშნული კურსების განხორციელება უნდა დასრულებულიყო 2023 წლის 29 დეკემბერს.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დაეგმილია საორიენტაციო კურსების განხორციელება საზღვრისპირა საჯარო სკოლებთან პარტნიორობით.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურის საჯარო სკოლაში „ფილამწყობი“ „ელექტრომონტიორი“ „საექთნო საქმე“ „რეპორტიორობა სკოლაში“ „საინფორმაციო ტექნოლოგიები“-კურსები.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიის საჯარო სკოლაში „საინფორმაციო ტექნოლოგიები“-კურსები.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკის საჯარო სკოლაში „საინფორმაციო ტექნოლოგიები“-კურსები.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონის საჯარო სკოლაში „საექთნო საქმე“-კურსები.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალბასთუმნის საჯარო სკოლაში „საინფორმაციო ტექნოლოგიები“-კურსები.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყის საჯარო სკოლაში „საინფორმაციო ტექნოლოგიები“-კურსები.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაიას საჯარო სკოლაში „საექთნო საქმე“-კურსები.

მიღებული თანხით შეძენილია კურსების განსახორციელებლად აუცილებელი მასალა აღჭურვილობა. აღნიშნულ პერიოდში პირველი ტრანშით მიღებულია ინვენტარის შესაძენად სულ: 36490 ლარი. გახარჯულია 21643 ლარი. ნაშთის სახით დარჩენილი თანხა 14847 ლარი დაბრუნებულია ხელშეკრულების თანახმად ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოსათვის. ასევე მიღებულია თანხა 70625 ლარი აღნიშნული თანხიდან შეძენილია სასწავლო მასალები 8070,70 ლარი ღირებულების, ხოლო ხელფასების სახით გაცემულია 58480 ლარი, 4074,20 ლარი დაუბრუნდა ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს.

დასკვნა: აუდიტის შედეგად რაიმე სახის შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მიღებული თანხები გახარჯულია კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოწმების საგანი/ობიექტი: არაგვეგმიური შემოწმების ობიექტი:

პერსონალის ელექტრონული აღრიცხვის სისტემის აუდიტი

აღწერა:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტის პერსონალის ელექტრონული აღრიცხვის სისტემა

პერსონალის აღრიცხვა მიმდინარეობს ხარვეზებით, რაც გამოწვეულია ელექტრონული პროგრამის მწყობრიდან გამოსვლით

რეკომენდაცია:

რეკომენდაცია:

1. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესყიდულ იქნეს განახლებული ელექტრონული აღრიცხვის პროგრამა.
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პერსონალის აღრიცხვა და ანგარიშგება მართოს იურიდიული საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის

კონტროლით ადამიანური რესურსების განყოფილებამ შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

რეკომენდაციები

- უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.

რეკომენდაცია

1. აყვანილ იქნეს კონტროლზე უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.
2. მოწვეულ იქნეს კვალიფიციური სპეციალისტი (შემფასებელი აუდიტი) ავტომობილ(NISSAN TERANO სახელმწიფო ნომრით AGA 826, გამოშვებული 2003 წელს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 2009 წლიდან) საბაზრო ღირებულების დასადგენად და ჩამოწერის მიზნით მომზადდეს დოკუმენტაცია შემდგომი მსველობისთვის კანონმდებლობის შესაბამისად
 - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის შესაბამისობის აუდიტი.

რეკომენდაცია

1. საგემო მაჩვენებლებთან ფაქტობრივი შესრულების შეუსაბამობის შემთხვევაში განხორციელდეს შესყიდვების წლიურ გეგმაში შესაბამისი ცვლილება, რომელიც სათანადოდ იქნება დასაბუთებული.
2. შესყიდვების სამსახურის მუშაობის გაუმჯობესობის მიზნით მიზანშეწონილია, ისეთ შემთხვევებშიც, როცა კონკრეტული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ნაკლებია 10 000 ლარზე, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - 20 000 ლარზე, განხორციელდეს ბაზრის კვლევა და ასევე შესყიდვების განხორციელებისას საჭიროა ბაზრის კვლევის დოკუმენტები აიტვირთოს შესყიდვების სააგენტოს შესაბამის ელექტრონულ ველზე.
 - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ხარჯებისა და ხელფასების დარიცხვა - გაცემის შესაბამისობის აუდიტი;

რეკომენდაცია

1. ბუღალტერმა აიყვანოს კონტროლზე და უზრუნველყოს თანამშრომლებზე ხელფასების დარიცხვის შესაბამისად, იმავე თვეში საშემოსავლო გადასახადის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშებზე კანონის შესაბამისად.

2. შემდგომი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის ყველა რეკომენდაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;
 1. აყვანილ იქნეს კონტროლზე სამსახურის მიერ პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების რეგულაციისა და სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.
 2. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მარაგების, ამორტიზებული, ექსპლუატაციისათვის უვარგისი ჩამოსაწერი ქონების დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი სამსაურებისათვის დასკვნებისთვის წარდგენა.
 3. იდენტიფიცირებული რისკების გათვალისწინებით, კონტროლის მართვის გაძლიერების მიზნით ადმინისტრაციის მხრიდან დაორგანიზებული მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესის - მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე გადაყვანა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება -. გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ეტაპზე აუდიტი შემოიფარგლოს წარმოდგენილი რეკომენდაციებით და მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე სრულად გადაყვანის შემდეგ ჩაიგეგმოს რიგგარეშე განმეორებით სრული ინვენტარიზაციის შიდა აუდიტი.
 - პერსონალის ელექტრონული აღიცხვის სისტემის აუდიტი

რეკომენდაცია:

1. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესყიდულ იქნეს განახლებული ელექტრონული აღრიცხვის პროგრამა.
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პერსონალის აღრიცხვა და ანგარიშგება მართოს იურიდიული საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის კონტროლით ადამიანური რესურსების განყოფილებამ შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

